

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
4. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	15
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	17
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	18
9. წინასწარ გაწეული ხარჯები	18
10. ბიოლოგიური აქტივები	18
11. ძირითადი საშუალებები	19
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
13. მიღებული სესხები	21
14. მოგების გადასახადის ხარჯი	22
15. გადასახდელი დივიდენდები	22
16. შემოსავალი	22
17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	22
19. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	23
20. სხვა საოპერაციო შემოსავალი	23
21. სხვა საოპერაციო ხარჯები	23
22. საკუროსო მოგება / (ზარალი)	23
23. კაპიტალი	23
24. ფინანსური რისკის მართვა	23
25. დაკავშირებული მხარეები	27
26. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები	27
27. საანგარიშო პერიოდის შემდეგომი მოვლენები	28

შპს „კუმისი XXI“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	433,036	372,818
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,279,450	1,168,912
სასქონლო მატერიალური მარაგები	8	1,098,155	1,255,186
წინასწარ გაწეული ხარჯები	9	127,164	162,425
ბიოლოგიური აქტივები	10	1,306,156	1,140,495
სულ მიმდინარე აქტივები		4,243,961	4,099,836
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	5,608,905	5,482,158
არამატერიალური აქტივები		21,731	25,566
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,630,636	5,507,724
სულ აქტივები		9,874,597	9,607,560
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	605,548	471,910
მიღებული ავანსები		9,068	15,204
მიღებული სესხები	13	2,665,011	1,992,176
საგადასახადო ვალდებულებები		201,411	23,241
გადასაცემი დივიდენდები	15	457,650	335,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებულებები		3,938,688	2,837,531
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	499,263	676,644
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		499,263	676,644
სულ ვალდებულებები		4,437,951	3,514,175
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		5,436,646	6,093,385
სულ კაპიტალი	23	5,436,646	6,093,385
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,874,597	9,607,560

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

გოგიტა მცისურაძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019

ფინანსური დირექტორი:

დავით ვარდოსანიძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019



დ. ვარდოსანიძე

8-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „კუმისი XXI“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	16	13,089,681	12,570,029
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(8,048,106)	(7,368,576)
საერთო მოგება		5,041,575	5,201,453
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,025,008)	(1,807,262)
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	19	(1,827,412)	(1,297,748)
სხვა-საოპერაციო შემოსავალი	20	340,940	246,480
სხვა-საოპერაციო ხარჯები	21	(568,151)	(296,800)
საოპერაციო მოგება		961,944	2,046,123
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	11	-	1,967,868
ზარალი ბიოლოგიური აქტივების რეალიზაციიდან		-	(32,782)
არასაოპერაციო ხარჯები		(188,028)	(23,185)
საკურსო მრგება / (ზარალი)	22	(5,592)	159,345
საპროცენტო შემოსავალი		1	1,991
არასაოპერაციო შემოსავალი		3,007	32,191
საპროცენტო ხარჯები	13	(327,687)	(154,598)
მოგება დაბეგვრამდე		443,645	3,996,953
მოგების გადასახადი	14	-	(125,403)
წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		443,645	3,871,550

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ვლადიმერ მაისურაძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019

ფინანსური დირექტორი:

დავით ვარდოსანიძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019

8-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კუმისი XXI“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

გაუნაწილებელი მოგება	
31 დეკემბერი, 2016	2,642,889
მიმდინარე პერიოდის მოგება	3,871,550
დოვიდენდი	(421,054)
31 დეკემბერი, 2017	6,093,385
მიმდინარე პერიოდის მოგება	443,645
დოვიდენდი	(1,100,384)
31 დეკემბერი, 2018	5,436,646

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

გოგიტა მასიურაძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019



ფინანსური დირექტორი:

დავით ვარდოსანიძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019

დ. ვარდოსანიძე

მ-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კუმისი XXI“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგრამდე	443,645	3,996,953
კორექტირება შემდეგზე:		
ცვეთა და ამორტიზაცია	439,524	359,712
საპროცენტო შემოსავალი	(1)	(1,991)
საპროცენტო ხარჯები	327,687	154,598
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	82,140
ბიოლოგიური აქტივების ჩამოწერა	146,053	102,162
ზარალი ბიოლოგიური აქტივების რეალიზაციიდან	132,737	32,782
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	(1,967,868)
წმინდა სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	5,592	(159,345)
ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან	1,495,237	2,599,143
საოპერაციო აქტივებსა და პასივებში ცვლილებებამდე		
შემცირება / (ზრდა) მარაგების	157,031	(604,956)
შენიშვნა / (ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(110,538)	50,103
შემცირება / (ზრდა) წინასწარ გადახდებში	35,261	(140,720)
ზრდა / (შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	178,170	324,284
ზრდა / (შემცირება) მიღებულ ავანსებში	(6,136)	(613,548)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	133,638	(215,084)
ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან	1,882,663	1,399,222
პროექტამდე და დაბეგრამდე		
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(26,000)
გადახდილი პროცენტები	(327,687)	(154,598)
წმინდა ფულადი საშუალებების შემოღინება საოპერაციო საქმიანობებიდან	1,554,976	1,218,624
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,066,074)	(2,401,882)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	(391,076)	(280,518)
ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების რეალიზაცია	589,594	1,363,254
ანაბრებისა და სხვა აქტივების შეძენა	-	(10,432)
წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან	(1,867,556)	(1,329,578)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		
სესხის მიღება	10,111,736	6,751,367
მიღებული სესხების დაფარვა	(9,616,283)	(6,647,352)
გადახდილი დივიდენდი	(122,650)	(65,000)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოღინება / (გადინება) საფინანსო საქმიანობებიდან	372,803	39,015
ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	60,223	(71,939)
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	372,818	444,759
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა		
ფულადი საშუალებებისა და მისი ეკვივალენტებზე	(5)	(2)
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	433,036	372,818

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ფაჩუა მამსურაძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019

ფინანსური დირექტორი:

დავით ვარდოსანიძე

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019

8-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „კუმისი XXI“ (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაციის მისამართი არის გარდაბნის რაიონი, სოფელი კუმისი, საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2005 წლის 3 ნოემბერს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქათმის კვერცხის წარმოება 12 ჰექტარზე განლაგებული თანამედროვე დონეზე აღჭურვილი საწარმოს საშუალებით, ნაწარმის შემდგომი რეალიზაციის მიზნით, რასაც კომპანია ახორციელებს თანამედროვე სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით. კომპანიას აქვს სადისტრიბუციო ქსელი მთელი საქართველოს მასშტაბით.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ზურაბ უჩუმაბეგაშვილი	35%	35%
გოჩა ხაჩიძე	25%	25%
ლევანი ახვლედიანი	25%	25%
თამაზი ედიშერაშვილი	15%	15%

კომპანიის დორექტორი არის გოგიტა მაისურაძე, რომელს უმაღლეს ჩართულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს მისი რეგისტრაციის მისამართზე.

2. მომზადების საფუძველი**ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობას სჯერა რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში. ასევე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუწერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის (იხილეთ მე-4 შენიშვნა). თითოეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 ”ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუწერგავს 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია წარდგენილია ბასს 39-ის შესაბამისად.

ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები, მსგავსის არსებობის შემთხვევაში, პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალ ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ფინანსური ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“ ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომლების იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი რეკლასიფიცირების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

(ბ) გაუფასურება

ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა ფასს 9-მ, საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით.

რეზერვები ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური აქტივების შინაარსიდან გამომდინარე.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს. კომპანიას არ აქვს ისეთი შემოსავლები, რომელიც შესაძლოა, რომ გადანაწილდეს რაიმე პერიოდზე აქედან გამომდინარე, არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შემენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები ბანკისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

მიმდინარე გადასახადი არის მოგების გადასახადის თანხა, რომელიც გადასახდელია ან უკან დაბრუნებადია დასაბეგრ მოგებასა ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისათვის.

გადავადებული გადასახადის აქტივი ან ვალდებულება აღიარებულია გადასახადისათვის, რომელიც ამოღებადია ან გადასახდელია სამომავლო პერიოდებში, როგორც წარსული გარიგებების ან ღონისძიებების შედეგი. გადავადებული გადასახადი წარმოიშობა სხვაობისგან (ცნობილია, როგორც დროებითი სხვაობა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში მოცემული აქტივების და

ვალდებულებების საბალანსო მაჩვენებლებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის აქტივების საგადასახადო ბაზა განისაზღვრება აქტივების გათავისუფლების თანმიმდევრობით.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რაც მოსალოდნელია, რომ გაზრდის მომავალში დასაბეგრ მოგებას, გარდა მათი, რაც დაკავშირებულია კომპანიის გუდვილთან. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მომავალში დასაბეგრ მოგებას და ნებისმიერ გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასდება უმაღლესი თანხით, რომელიც მეტად მოსალოდნელია, რომ არ იქნება ამოღებული, მიმდინარე ან სამომავლო გეგმიური დასაბეგრი მოგების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საანგარიშო ღირებულება განიხილება ყოველ სააღრიცხვო თარიღზე და რეგულირდება, რათა ასახოს მომავალი დასაბეგრი მოგების ახლანდელი შეფასება. ნებისმიერი რეგულირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ სხვა მთლიანი შემოსავალის პუნქტისათვის არ არის დამხასიათებელი.

გადავადებული საგადასახადო გამოიანგარიშება საგადასახადო ტარიფით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება დასაბეგრ მოგებაზე (საგადასახადო ზარალი) იმ პერიოდისათვის, როცა მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები განთავისუფლდება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება დაიფარება, იმ საგადასახადო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის. 2017 წლის იანვრიდან საქართველოში მოგების გადასხადის აღრიცხვის წესი შეიცვალა და ამ თარიღიდან კომპანიის საგადასახადო მოგება ან ზარალი თანხვედრაშია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების მიხედვით მიღებულ მოგებასა ან ზარალთან, რაც თავის მხრივ აუქმებს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების აღიარების საფუძველს ამ თარიღიდან.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეს ფინანსური აქტივები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებდა, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილ გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

წარმოების, საიჯარო ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან ჯერ არ განსაზღვრული მიზნებისათვის მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება აისახება შემენის ფაქტობრივი ღირებულებით, აღიარებული მატერიალური ფასეულობის გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ფასი მოიცავს პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს, ადგილმდებარეობის მომზადებას, დამონტაჟების და აწყობის ხარჯებს, კვალიფიცირებადი აქტივების პროფესიულ მოსაკრებლებს, აგრეთვე სასესხო ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

ქონების და აღჭურვილობის კომპონენტის, რომელიც ცალკე აღირიცხება, შესაცვლელი ხარჯები კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტების საანგარიშო ღირებულებით. სხვა მომდევნო ხარჯი კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა ამ ხარჯებისგან. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საკუთრებაში არსებული მიწა არ ამორტიზირდება. ყველა სხვა აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	5-25 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-15 წელი
მანქანა-დანადგარები	2-25 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება 5 წლით, ასევე ლიცენზიებს რომელის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება ასევე 5 წლით.

ამორტიზაცია არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

ბიოლოგიური აქტივები (გარდა მსხმოიარე ნარგავებისა)

ბიოლოგიური აქტივები (ფრინველი) თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღირიცხება თვითღირებულებით და იმ დანახარჯების კაპიტალიზაციით (კომბინირებული საკვები, პირდაპირი ხელფასები და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადები დანახარჯები), რომელიც აუცილებელია ფრინველის კვრცხდების დაწყებამდე, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, კვრცხმდები ბიოლოგიური აქტივის შემთხვევაში.

ბიოლოგიური აქტივების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს შესყიდვის ღირებულების გადანაწილება მათ სასარგებლო ვადაზე. საწარმო, სტანდარტის მიხედვითა და ისტორიული მონაცემების შედეგად, ადგენს ფრინველის სასიცოცხლო ვადას, რომელიც განისაზღვრულია 16 დან 22 თვემდე. ფრინველის სასიცოცხლო ვადა და ნარჩენი ღირებულება შეიძლება გადაისინჯოს და შეიცვალოს კომპანიის გონივრულ მსჯელობაზე დაყრდნობით.

ბიოლოგიური აქტივი - ფრინველი

	2017	2016
ფრინველის სალიკვიდაციო ღირებულება	1.5 (ლარი)	1.5 (ლარი)
ფრინველის სასიცოცხლო ვადა	18 თვე	18 – 22 (თვე)

პროდუქტის მიღების შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტი (კვრცხი) წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალურ მარაგს და აღიარდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის სხვაობით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშალო შეწონილის საფუძველზე, დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს კომბინირებულ საკვებს, ფრინველის ცვეთას, შესაფუთ მასალებს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან, კომპანიას არ აქვს დამფუძნებლის მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში. კომპანიას არ აქვს ვალდებულება მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოში და ამონაგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი, იმის მიუხედავად როდის ხდება გადახდა.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების ულფების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად: დღგ)

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სავაჭრო მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება

ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი. ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს

იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა, არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომლის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044
	2018	2017
წლის საშუალო გაცვლითი კურსი		
1 USD/GEL	2.5345	2.5086
1 EUR/GEL	2.9913	2.8322

4. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიყენა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმპ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმპ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულებები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანიის იჯარით აქვს აღებული ფილიალები, რომელთაგან ნაწილი გაფორმებულია 1 წელზე მეტი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რამე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „სავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ

კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის. ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები გავლენას არ ახდენს კომპანიის მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები. კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

ბიოლოგიური აქტივების სალიკვიდაციო ღირებულება და სასიცოცხლო ვადები. კომპანიამ იმსჯელა ბიოლოგიური აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებებსა და სასიცოცხლო ვადებზე იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის ფრინველის კვერცხდების ხანგრძლივობა და ინტენსივობა (სასიცოცხლო ვადა) და ფრინველის კვერცხდების შეწყვეის ან მნიშვნელოვნად შემცირების შემდგომ მის სარეალიზაციო ფასზე (სალიკვიდაციო ღირებულება).

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ნაღდი ფული სალაროში	2,562	102,018
ფული საბანკო ანგარიშებზე	430,474	270,800
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	433,036	372,818

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო მოთხოვნები	1,440,966	1,334,875
სხვა მოთხოვნები	30,358	25,911
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,471,324	1,360,786
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(191,874)	(191,874)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,279,450	1,168,912

დებიტორულ დავალიანებებს არ ერიცხებათ სარგებელი, ჩვეულებრივ დებიტორული დავალიანების მიღება ხდება 30-60 დღის ვადაში.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ნედლეული მასალები	817,318	1,148,421
დაუმთავრებელი წარმოება	80,389	49,683
მზა პროდუქცია	200,448	57,082
სულ	1,098,155	1,255,186

9. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები წარმოადგენს მომწოდებლებზე გადახდილ თანხებს 89%, 2018 წლის 31 დეკემბრის არის 1 მომწოდებლის მიმართ (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 65%).

10. ბიოლოგიური აქტივები

	ქათამი	წიწილა	სულ
31 დეკემბერი, 2016	726,116	288,172	1,014,288
მატება	119,700	304,219	423,919
ცვეთა	(609,508)	-	(609,508)
გაყიდვები	(162,421)	-	(162,421)
ჩამოწერა (ფრინველის დაცემა)	(88,984)	(15,329)	(104,313)
შიდა მოძრაობა	986,334	(986,334)	-
გაზრდის ხარჯები	-	578,530	578,530
31 დეკემბერი, 2017	971,237	169,258	1,140,495
მატება	268,191	325,682	593,873
ცვეთა	(921,626)	-	(921,626)
გაყიდვები	(153,655)	-	(153,655)
ჩამოწერა (ფრინველის დაცემა)	(132,736)	(184,760)	(317,496)
შიდა მოძრაობა	1,274,745	(1,274,745)	-
გაზრდის ხარჯები	-	964,565	964,565
31 დეკემბერი, 2018	1,306,156	-	1,306,156

კომპანია აღრიცხვას ბიოლოგიურ აქტივებს თვითღირებულებით, რადგან თვლის რომ შეუძლებელია თავისი ბიოლოგიური აქტივებისთვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა და შესაბამისად მათი აღრიცხვა სამართლიანი ღირებულებით.

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავტო- სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	სულ
31 დეკემბერი, 2016	64,622	1,257,656	3,927,065	337,668	182,961	5,769,972
შემოსვლები	-	1,428,598	821,819	139,955	11,510	2,401,882
ჩამოწერა	(29,933)	(1,263)	(17,672)	(17,706)	-	(66,574)
31 დეკემბერი, 2017	34,689	2,684,991	4,731,212	459,917	194,471	8,105,280
შემოსვლები	-	126,080	1,876,321	52,795	10,878	2,066,074
ჩამოწერა	-	-	(1,505,840)	-	-	(1,505,840)
31 დეკემბერი, 2018	34,689	2,811,071	5,101,693	512,712	205,349	8,665,514
აკუმულირებული ცვეთა						
31 დეკემბერი, 2016	-	441,457	1,588,914	137,345	132,774	2,300,490
ცვეთის დანარიცხი	-	63,609	238,027	36,202	17,440	355,278
ცვეთის ჩამოწერა	-	-	(17,390)	(15,256)	-	(32,646)
31 დეკემბერი, 2017	-	505,066	1,809,551	158,291	150,214	2,623,122
ცვეთის დანარიცხი	-	66,199	444,510	49,668	16,806	577,183
ცვეთის ჩამოწერა	-	-	(143,696)	-	-	(143,696)
31 დეკემბერი, 2018	-	571,265	2,110,365	207,959	167,020	3,056,609
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2017	34,689	2,179,925	2,921,661	301,626	44,257	5,482,158
31 დეკემბერი, 2018	34,689	2,239,806	2,991,328	304,753	38,329	5,608,905

2017 წელს კომპანიამ გაასხვისა მიწა, რომელსაც აღრიცხავდა თვითღირებულებით, სხვაობა თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის წარმოადგენს კომპანიის მოგებას ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო ვალდებულებები	479,219	404,847
სხვა ვალდებულებები	126,329	67,063
სულ	605,548	471,910

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ საპროცენტო ხარჯი. კომპანიის ვალდებულებების დაფარვის ნორმალური ვადაა 30-60 დღე.

13. მიღებული სესხები

მიმდინარე სესხები	საპროცენტო განაკვეთი %	დაფარვის რიცხვი	ვალუტა	დეკემბერი 31, 2018	დეკემბერი 31, 2017
ბანკის სესხი	11%	2/21/2018	ლარი	-	500,000
ბანკის სესხი	11%	9/19/2018	ლარი	-	62,121
ბანკის სესხი	საბაზისო განაკვეთი+6.5%	12/31/2020	ლარი	132,673	293,692
ბანკის სესხი	4%	6/21/2019	ლარი	132,205	350,000
ბანკის სესხი	3%	4/19/2021	ლარი	-	179,664
ბანკის სესხი	11%	4/19/2021	ლარი	222,697	350,000
სესხები ფიზიკური პირისგან	12%	2/21/2018	ლარი	93,795	256,699
სესხები დაკავშირებული კომპანიისგან		9/29/2019	ლარი	2,083,640	-
სულ მიმდინარე სესხები				2,665,010	1,992,176
გრძელვადიანი სესხები					
ბანკის სესხი	საბაზისო განაკვეთი+6.5%	12/31/2020	ლარი	151,625	106,308
ბანკის სესხი	3%	4/19/2021	ლარი	347,639	570,336
სულ გრძელვადიანი სესხები				499,264	676,644

კომპანიის საპროცენტო ხარჯები შედგება ზემოთ მოცემულ სესხებზე დარიცხული სარპროცენტო ხარჯებისგან:

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	322,792	135,091
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური მირებისგან მიღებულ სესხებზე	4,895	19,507
სულ საპროცენტო ხარჯი	327,687	154,598

14. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგების დარიცხვის ბაზა არის გადახდილი დივიდენდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 2017 წლის მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს წინა წლებში რიცხული გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ჩამოწერას, იმის გათვალისწინებით, რომ კომპნია ვერ შეძლებდა ამ გადავადებული აქტივის გამოყენებას.

15. გადასახდელი დივიდენდები

კომპანიის გადასახდელი დივიდენდები შედგება გაცხადებული მაგრამ მფობელებისთვის ჯერ არ გადახდილი დივიდენდებისგან, რომელთა გადახდაც უნდა განხორციელდეს ფულადი სახით.

16. შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,623,944	12,720,759
უკან დაბრუნებები	(534,263)	(150,730)
სულ შემოსავალი	13,089,681	12,570,029

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
კვერცხი	7,657,034	6,987,580
მელანჟი	209,620	141,544
ნედლეული	92,497	121,894
ქათამი	87,455	113,744
სხვა	1,500	3,814
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8,048,106	7,368,576

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა სარგებელი	887,140	704,488
ცვეთა	439,524	359,712
მოვლა-შენახვის ხარჯები	175,491	185,284
საგადასახადო ხარჯები	61,398	120,488
უიმედო ვალის რეზერვი	-	82,140
კომუნალური ხარჯები	79,679	64,336
საწვავის ხარჯები	45,347	42,648
საბანკო ხარჯები	18,772	36,693
საკომუნიკაციო ხარჯები	16,898	27,482
ქირის ხარჯები	42,522	26,463
სხვა	258,237	157,528
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,025,008	1,807,262

19. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა სარგებელი	643,182	597,994
სარეკლამო ხარჯები	878,425	443,490
საწვავის ხარჯები	271,240	238,743
სხვა	34,565	17,521
სულ გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	1,827,412	1,297,748

20. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2018	2017
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა	67,449	117,353
შემოსავალი გრანტიდან	273,491	66,653
წინა პერიოდში დარიცხული ჯარიმის პატიება	-	62,474
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	340,940	246,480

21. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
განადგურებული მარაგები	498,433	220,155
მარაგების დანაკლისი	69,718	76,645
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	568,151	296,800

22. საკურსო მოგება / (ზარალი)

	2018	2017
არარეალიზებული საკურსო მოგება / (ზარალი)	(5,587)	160,689
რეალიზებული საკურსო ზარალი	(5)	(1,344)
სულ საკურსო მოგება / (ზარალი)	(5,592)	159,345

23. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება მხოლოდ გაუნაწილებელი მოგებისგან, კომპანიას არ აქვს დამფუძნებლის მიერ კაპიტალში შენატანები. კომპანიის გაუნაწილებელ მოგებას აკლდება დამფუძნებლებზე გაცხადებული დივიდენდები.

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი და სხვა არაფინანსური რისკები.

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობაა, უზრუნველყონ, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს დასაშვებ რისკის დონეს.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	430,474	270,800
(სალაროში არსებული ნაღდი ფულის გამოკლებით)		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,279,450	1,168,912
მიღებული სესხები	(3,164,274)	(2,668,820)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(605,548)	(471,910)

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის მოწოდებული კომპანიის ხელმძღვანელობისთვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

31 დეკემბერი, 2018	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	433,004	31	1	433,036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,279,450	-	-	1,279,450
სულ ფინანსური აქტივები	1,712,454	31	1	1,712,486
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	3,164,274	-	-	3,164,274
სხვა ვალდებულებები	605,548	-	-	605,548
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,769,822	-	-	3,769,822
ღია საბალანსო პოზიცია	(2,057,368)	31	1	(2,057,336)

31 დეკემბერი, 2017	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	372,702	98	18	372,818
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,168,912	-	-	1,168,912
სულ ფინანსური აქტივები	1,541,614	98	18	1,541,730
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	2,668,820	-	-	2,668,820
სხვა ვალდებულებები	471,910	-	-	471,910
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,140,730	-	-	3,140,730
ღია საბალანსო პოზიცია	(1,599,116)	98	18	(1,599,000)

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 30%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

	აშშ დოლარის გავლენა 2018		აშშ დოლარის გავლენა 2017	
	30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება	30%-იანი ზრდა	30%-იანი შემცირება
წლის მოგება/(ზარალი)	9	(9)	29	(29)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარ საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	-	-
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	(3,164,274)	(2,668,820)
წმინდა მდგომარეობა	(3,164,274)	(2,668,820)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაიცემა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს, პროცესს, სადაც ჩართულია საკრედიტო კომიტეტი, აგრეთვე იგი მონიტორინგს უწევს გაცემულ სესხებს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუნარიობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროში არსებული ნაღდი ფულის გამოკლებით)	430,474	270,800
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,279,450	1,168,912
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	1,709,924	1,439,712

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა. ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირითადი თანხის ფულად ნაკადებს.

31 დეკემბერი, 2018	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,279,450	-	1,279,450
ფული და ფულის ეკვივალენტები	433,036	-	433,036
სულ ფინანსური აქტივები	1,712,486	-	1,712,486

ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	2,665,010	499,264	3,164,274
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,665,010	499,264	3,164,274
სხვა ვალდებულებები			-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,665,010	499,264	3,164,274
ლიკვიდურობის გარდევა	(952,524)	(499,264)	(1,451,788)

31 დეკემბერი, 2017	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,168,912	-	1,168,912
ფული და ფულის ეკვივალენტები	372,818	-	372,818
სულ ფინანსური აქტივები	1,541,730	-	1,541,730

ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	1,992,176	676,644	2,668,820
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,992,176	676,644	2,668,820
სხვა ვალდებულებები	471,910	-	471,910

სულ ფინანსური ვალდებულებები	2,464,086	676,644	3,140,730
ლიკვიდურობის გარღვევა	(922,356)	(676,644)	(1,599,000)

25. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, ძირითადი ხელმძღვანელობა, კომპანიის სხვა მფლობელების საკუთრებაში არსებული სხვა კომპანიები. შეძენა და მიყიდვა დაკავშირებული მხარეებიდან და მათზე ხორციელდება იმ პირობების ეკვივალენტი პირობებით, რაც უპირატესია დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებულ ტრანზაქციებში. კომპანიას არ აღურიცხია დებიტორული დავალიანებების გაუფასურება, იმ თანხებთან დაკავშირებით, რასაც დაკავშირებული მხარეები ფლობენ. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის და იმ ბაზრების გამოკვლევით, სადაც ფუნქციონირებს დაკავშირებული მხარე.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

	2018	2017
საოპერაციო შემოსავალი	5,681	5,244
არასაოპერაციო შემოსავალი	932	1,017
საპროცენტო ხარჯი	4,895	19,507
მარაგების შესყიდვა	70,359	80,410
სულ	81,867	106,178

ძირითადი მენეჯმენტის კომპენსაცია:

	2018	2017
ხელფასები	129,605	131,263
სხვა სარგებელი	6,875	13,588
სულ	136,480	144,851

კომპანიას არ აქვს აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	51,128	55,776
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,884	39,461
ნასესხები სახსრები	2,177,435	256,699

26. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, სამი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღნიშნულია კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს, მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე არსებითი გავლენა ექნება.

27. საანგარიშო პერიოდის შემდეგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.